დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ოლეგი გოშუანის 2022- 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

დმანისი 01.11.2022-01.11.2023 წ

მოგეხსენებათ საკრებულო წარმოადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს. სადაც, ყოველწლიური საქმიანობის წარმართვა ხდება როგორც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'', ასევე „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილების და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

საკრებულოს ყველა წევრის ვალდებულებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ანგარიშის წარდგენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე როგორც დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე საანგარიშო პერიოდში ვმონაწილეობდი საკრებულოსა და ბიუროს სხდომებში.

- კომისიებში ჩემი აქტივობა:

1. სოციალური საკითხების კომისიის წევრი.
2. სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი.
3. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული საბჭოს წევრი.

- გენდერული საბჭოს სხდომის რაოდენობა: 3

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომაზე, მათ შორის ჩემი მხარდაჭერით მიღებული იქნა სამართლებრივი აქტების რაოდენობა:

განკარგულება: 69

დადგენილება: 39

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული სხვადასხვე ღონისძიებაზე დასწრება:

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე, მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ კულტურულ და სოციალურ ღონისძიებებს.

სოციალური საკითხების კომისიის წევრის სტატუსით დავესწარი 5 სხდომას. სადაც განვიხილეთ მუნიციპალიტეტისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი 11- საკითხი, მათ შორის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამები.

სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრის სტატუსით დავესწარი 8- სხდომას, სადაც ასევე განვიხილეთ და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად მოვამზადეთ, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული საკითხები.

2022-2023 წელი

ჩატარებული საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 14

საკრებულოს სხდომის დასწრება -10

ბიუროს სხდომის დასწრება- 11

- ასევე საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველით ვარ, სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მულიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციიის სოციალური პოგრამის განხორციელების სამუშაო ჯგუფის წევრი -კომისიის თავმჯდომარე.

2023 წელს კომისიის შემოწმების შედეგად, უკიდურესად ავარიულ მდგომარეობაში ჩაითვალა 17 (ჩვიდმეტი) მოქალაქის საცხოვრებელი სახლი, რომელთა საკუთრებაში მყოფი სახლების სახურავები პროგრამის ფარგლებში მთლიანად გადაიხურა ახალი სახურავით.

- საანგარიშო პერიოდში დავესწარი შემდეგი ტრენინგებზე და შეხვედრებს:

1. სახელმწიფო რწმუნებულის ხელმძღვანელობით სამხარეო- საკონსულტაციო საბჭოს 2022 წლის მორიგი დასკვნითი სხდომას. 30 დეკემბერი 2022 წელი.
2. USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა სამუშაო შეხვედრა ურთიერთანამშრომლობის სამოქმედო გეგმის შემუშავება დმანისის მუნიციპალიტეტში 24-25იანვარი, 2023 წელი.
3. სახელმწიფო რწმუნებულის ხემძღვანელობით საკონსულტაციო საბჭოს სხდომა 04.05.2023 წ.
4. USAID - ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა - დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზედამხედებულო შესაძლებლობის გაძლირება.
5. USAID ტრენინგი: ,, მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება'' 7 აგვისტო, 2023 წელი.
6. USAID- დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზედამხედველობის საქმიანობა. კვლევის ანგარიში. 20.09.2023 წელი.
7. USAID ტრენინგი: ,, მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება'' სისტემური ხედვა და მონაწილეობითი 10.10.2023 წ.